


რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
სკლის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. В. Тифлиси, 15 редакция «Дროება»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ქვესის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



შპსი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებები ქარაფის რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საქმიანობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს.

გამომცემის უძველესი ორგანიზაციის ბარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკა

ტელეგრაფი

(ქრდილოეთის საავტოცოსია.)

2 ნოემბერს.

პატივსაცემი. გუბნ სოფლის მემამულითა კრებაში, რომელიც გადუწყვეტილთა ხარჯთა დეპარტამენტის წინადადებით მოხდა, სჯა იყო იმაზედ, თუ როგორ შევიდეს წარმატებაში ნაწილ-ნაწილად არაყის ხდის საქმე სასოფლო მეურნეობაში; სხდომა მთლად ვ. ა. კოკორევის მოხსენებას მოუხდა. ამ მოხსენებაში გამოთქმულია ის აზრი, რომ თვითივეს გუბერნიამ არაყის ხდის სარგებლობა და მიწის წარმოების ინტერესი ერთმანეთთან შეთანხმებული უნდა იყოს და სიმთვრალე უნდა მოისპოს; ამისათვის მმართველობამ თვითონ უნდა აიღოს არაყი მცირე არაყის სახდელი ქარხანებისგან, რომლებშიც 20000 ვედროზე და 40°-ზე მეტი არაყი არ იხდება, იმ ფასად, რა ფასსაც უოველ წლივ დადგენენ შურის ფასისა და გამოხდის ფასის კვალობაზედ, და იმ შემოსავლის შესაფერად, რომელიც დანიშნული იქნება განსაზღვრულს გრადუსებზე; ხოლო დიდი არაყის ქარხანებისგან იყიდის არაყს; არაყის გამოსახდელად მდებარე ღირსე-

ბის პერი არსად არ უნდა იხმარებოდეს და დიდ ქარხანებს პრემიები დაენიშნება სპირტის სამზღვარ-გარეთ გატანისათვის; არაყის გასასყიდავად, ეხლანდელი დეკნების დაკეტვის შემდეგ, გაიხსნება სასაზიზო არაყის დეკნები, რომლებშიც დაღვევის ნება არავის არ ექნება, და ვედრო არაყი 8 მანეთად გაიყიდება. არაყზე ამ ფასის დადებით სახელმწიფოს წელიწადში 50 მილიონი შემოსავალი ექნება. მოხსენების წინააღმდეგ ილაპარაკეს პროფესორებმა ანდრეევმა და მენდელეევმა, ბ. კოროლევიმა, ადამოვიჩმა, ბარონმა ნოლდემ და გილდენშმიდტმა; როდესაც ბასი გათავდა, თავს მჯდომარემ ი. მ. გუდონოვმა გამოაცხადა, რომ მოხსენებასაც და ოპონენტებისგან გამოთქმულს აზრსაც ჭინანსთ სამინისტროს წარუდგენო.

«მმართველობის მოამბე» არღვევს გაზეთის «ტაიმისს», ცნობას შესახებ 24 მილიონის დეკიციტისა და იმის შესახებაც, ვითომც სამზღვარ გარეთელი სესხის გადასახდელად 50 მილიონი ფული იყოს საჭირო; აგრეთვე არღვევს ხმას რვა მილიონის შესახებ, რომელზედაც მეტი ვითომც მმართველობას აღარა ჰქონდეს ამ ვალების გადასახდელად. პირველი

ცნობა, როგორც სჩანს, დამყარებულია იმაზედ, რომ 1 ავვისტომდე შემოვიდა საზინაში 10,588,444 მანეთით შარშანდელზედ ნაკლები შემოსავალი, და ხარჯი კი 17,759,168 მილიონით მეტი იყო; პირველს შვიდს თვეს შემოსავალი შარშანდელზე მართლა ნაკლები იყო, მაგრამ განსხვავება 1 სექტემბრისთვის 5 1/2 მილიონამდინ შემცირდა; თუ მხედველობაში მივიღებთ რომ პატენტის გადასახადი 4 მილიონით მეტი შემოვიდა, მაშინ გამოვა, რომ ნამდვილი შემოსავალი 1 სექტემბრამდინ მხოლოდ მილიონ ნახევრით იყო ნაკლები შარშანდელზე. რაც შეეხება გასავალს, 1 ავვისტომდე მართლა 17,759,168 მილიონით მომეტებული იყო, მაგრამ ნუსხითაც ხომ 31 მილიონით მეტია დანიშნული შარშანდელზედ. მართალია, 50 მილიონამდე სარგებელია მისაცემი სამზღვარ-გარეთელი სესხებისა, მაგრამ ერთბაშად კი არა—ერთის წლის განმავლობაში უნდა გადასწყდეს და ამასთანავე ნახევარზე მეტი ამ სარგებლისა სწყდება კუპონებით, რომელიც ტამოქნის ბაჟის გადასახდელად შემოდის; დანარჩენს ფულს მმართველობა გადაიხდის იმ ტამოქნის ბაჟით, რომელსაც ოქროთი

სხდევინებენ. დასასრულ, «მმართველობის მოამბე» აცხადებს, რომ «ტაიმისს» ცნობა, ვითომც ზაკი და რაჭალოვირი ცდილობდნენ სამზღვარ-გარეთ ახალი სესხის ადებასაო, დარღვევას არ საჭიროებს, ამისათვის რომ მმართველობასა და ამ პირთა შორის არავითარი მორიგება არა უოფილა.

სახალხო განათლების სამინისტრო არღვევს გაზეთების ცნობებს, ვითომც ვილენის გუბერნიამი სასწავლებლების საქმე ცუდად მიდიოდა და, სსვათა შორის, სასოფლო სკოლების შესახებ ამბობს, რომ წარმატებას უშლიან მათ საიდუმლო სკოლები, რომლებშიც მართლ შოლმურ ენაზედ ასწავლიან; მაგრამ სამინისტრო უოველი დონის-ძიებით ცდილობს ამ სამწუხარო მოვლენის მოსპობას.

«ქურნალ დე სან-პეტერბურ» ამბობს, რომ ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი ბისმარკმა მიიპატიჟა ჭირიღრისხრეებში და იმიტომ წავიდა იქაო. გაზეთს ეჭვი არა აქვს, რომ მინისტრების ერთმანეთის ნახვა უფრო განამტკიცებს ორთა სახელმწიფოთა

«დროების» ჭეღვტონი, 4 ნოემბერი.

მუთათური კალტონი

წინა-სიტყვაობა. — მ. არდიშვილი და დასავლეთის კარები. — ოლონდაც რომ «არა ერთითა დაზარაობა» სცხოვრებს კაცი. — რიკოვეტის წიწილეობა ჩვენში. — ქველ-მოქმედებითი მხარე რიკოვობისა.

ბთხოვთ მიცნობდეთ, რომ თქვენს მორჩილს მონასა და მოსამსახურეს არც სემინარიის კურსი შეუსრულეზია, არც სემინარიის ეგრედწოდებულ «ბურსი» გაუფლია და არც ბედნიერება ჰქონია, რომ «პერანგინი კართოფილით»\*) გაეტიქნა ხოლმე თავისი ძვირფასი კუჭი; მაგრამ, ამის და მიუხედავად, ცხოვრებაში და განსაკუთრებით მსჯელობაში ძალიანა ჰგავს სემინარიელს. ახლა მართალი რომ ესთქვათ, ჩემს გარდა სხვასაც ბევრსა აქვს სემინარიული ნიჭი მსჯელობისა, თუნდაც ამას ბევრი ჯერ კიდევ ვერ მიხვდარა. აი ავიღოთ, თუ გნებავსთ ჩვენი მწერლები! მწერლები ხომ საზოგადოების განვითარების გამომთქმელნი არიან, მთელის საუკუნის გონებითი საუზჯაი, ზნე-

ბითი გაწრთნილება, ზნისა და ჩველების სიფაქიზე, მოსწრაფება და ქვეყნეობაზედ შეხედვა მწერლების ტენის ნაწარმოებში სარკესაით მოხანს ყველასათვის, ვისაც კი თვალში ჩინი არ გამოლევია. ძარგი, მოვიხადოთ ქული და სამართალი ისე გავსტრათი... მანიზრახეს თუ არა ვინმე გულსა შინა თვისსა, რომ სალიტერატურა მოედანზედ გამოგოგდეს და დაიწყებს თავის მოქმედებას უსათუოდ წინა-სიტყვაობით. მერე ამ წინა-სიტყვაობის თაფი და თაფი საგანი სწორედ თავის ძვირფასი თაფი უნდა გაიხადოს. ნეტავი თქვენსი კარგად ყოფნით, მოკლე წინა-სიტყვაობას მაინც დაგვაჯერებდეს!.. რა ბძანებაა!.. სწორედ ერთი და ორი უთვო და უბოლო სტატია თავის ხოტბა-ქებად უნდა მიაწოდოს მკითხველს! მეო ესა ვარო, ისა ვარო! ჰმ, მე ვარ, რაც ვარო!... მამოვსულეარ ბრძოლის მოედანზედაო, მე ვარო, რომელიც იტვირთავს ცოდვათა სოფლისათაო!.. ჩამომეცალენით კიო, ვინც სიცოცხლეს ფასსა სდებთო, თორემო... შენც ჰფიქრობ, ცოდვილი მკითხველი, რომ გამოჩნდა აღმოსავლეთის ვარსკლავი და გინდა გაჰყვე, ვითარცა მოგვი. მიჰყვები კიდევ, კითხს-

ლობ კიდევ მალ-მალ: სადა არის მეუფე ურიათაო, მაგრამ არსად არს მეუფე ურიათა!... საქმე რომ ამით თავდებოდეს, კიდევ ჰო, მაგრამ უბედურება, თუ ბედნიერება ის არის, რომ მთელი მწერლობითი მოღვაწეობა მართლ წინა-სიტყვაობა გამოდის, მეტი არაფერი!... იწყებენ წინა-სიტყვაობით და ათავებენ წინა-სიტყვაობით!.. ამ შუა-სიტყვაობას და უკან-სიტყვაობასკი ევლარსად ეხედათ ხოლმე...\*) აი სწორედ აქა ვგვევართზედ - გამოკრილად სემინარიელებს. იქნება არ იცოდეთ, რომ სემინარიელი, ტუნო შიშვრით თაებრუ დასხმული, თავის «ფილოსოფიურს თხზულებას» უსათუოდ წინა-სიტყვაობით დაიწყებს ხოლმე. სწერს, სწერს, ვაწვალ-ვაჯახირებს ძანტს, პონტს, ლეიბნიცს, სპინოზას და სხვათა მრავალთა, გადასწყდება ბოკოს, მილლს, სენსერს და გაათავებს სწორედ წინა-სიტყვაობითე!...

ჩემო ბატონებო, მე ვარ, ესე იგი, სხვა არავინა ვარ. მე ვარ-მეთქი, რომ ვამბობ, ვითომ ყველაფერი მითქვამს!.. ხელობითა ვარ მეჭეღტონე. მეჭეღტონობა კიდევ, მიტომ ამირჩევიო, რომ სიცილისა და ფენის გამოღების გუნებაზედა ვარ; ერთიც ეს, მეორედ იმიტომ, რომ ფიქრისა და უზუმარის მსჯელობის ნება არა მაქვს უზუნაფესად მონიჭებული, მაგალითად, მე სრული უფლება მაქვს რამდენიც მინდა, იმდენი ვიცინო და ვიყბედო იმ კაცის სისულელეზედ, რომელსაც შხამიანი სოკო უჭამია და გაჯახირებით სულსა ლაფავს; სულ ფერდებიც რომ დამასკდეს სიცილით, მძასაც არავინ გამცემს, მალოობისა და წაქეზების მეტს არავინ არას მეტყვის. მაგრამ იმის ნება კი არა მაქვს ესთქვა, რომ ესა და ეს სოკო შხამიანი-მეგეთქი!... აქ უსათუოდ ლაგამს ჩამკერენ—რა შენი საქმეაო, შენ ვინა გკითხავს, რომ ბალი ათ შაურად იყიდებო; ეს ერთი, მეორეც ისა, რომ ლეთის-გომბას დამწამებენ: სოკო ლეთისგან არის გაჩენილიო და მამასადამეო... ჰო, თვითონ მიხვდით, რასაც მეტყვიან! შესამეც ისა, რომ ხალხის გრძობის პატივის-ცემა არა გაქსო, მეტყვიან, იმიტომაო რომ

\*) სემინარიის შექმანდათა სიაში ყოველთვის შეხვდებიო «картофель въ рубашкѣ».

\*) უკანა სიტყვაობა შეგიძლიანთ ნახოთ მხოლოდ ბ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემულს წიგნებში.

შორის ისრედაც ჩინებულს განწყობილებასაო.

ბარლინი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე მეუღლითურთ წავიდა გუმბინ პეტერბურგში.

არა უაზრად მწაქარი ხმა...

თბილისი, 3 ნოემბერი.

მალდებულგებრივი სწავლა, როგორც მოგვხსენებთ, ჩვენში ჯერ არ არსებობს და ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ამას ველირსებოდეთ, მაგრამ, ერთს «ბეჯითს» პოლიციის მოხელეს თანისით გამოუგონია ამ გვარი ახალი კანონი, დაუფლია თავის საბანებელი და გამოუტყდა სოფლებსათვის, თქვენ ამა და ამ დრომდის უნდა სასკოლო სახლი აავითო, აი კალატოზებიც მოგვარეთ, თითო შენობაში ას-სამოცს თუმანს გაუფრიგდი, მხოლოდ ქვა და ქვიშა კი თქვენ უნდა უზიდოთო.

საქებური იქნებოდა ეს მოხელე, რომ ასე უცბად, გადმონერგა ჩვენში ის კანონი, რომლისათვისაც, ვინ იცის რამდენი მელანი დაღვარეს სხვა განათლებულ ქვეყნებში და რამდენი მკვერმეტყველებდა მონადომეს პარლამენტებში; მაგრამ ერთი გარემოება გვაბრკოლებს ჩვენ და ბეჯითს მოხელეს ისეთს საქმეველს ვერ ვუტყვით და იმისთანა ქებას ვერ ვუძღვნი, როგორც შეეფერება მისს «დასაუქრების ღირსსენერგვას». ჩვენა გვგონია, რომ თუკი ამისთანა სამძიმო საქმეს კისრუ-

ლობს კაცი, თითონ საქმე ისე უნდა უყვარდეს, რომ არავითარს გარეშე გავლენას მასზედ მოქმედება არა ჰქონდეს, თორემ იმისთანა შემთხვევა ხშირი იქნება, რომელიც მოხსენებულა გუშინწინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში სოფ. მარტისიდან: ოთხი სოფელი თურმე ერთს სამამასახლისოს შეადგენს და ბ. მოხელეს მათ შორის ის სოფელი (მაშლოვანი) ამოურჩევიათ სკოლისათვის, რომელიც უფრო განზედასდგას და რომელიც მხოლოდ ორმოც-და-ათი კომლი სახლობს, მაშინ როდესაც სხვა სამის სოფლისათვის უფრო მარჯვე იქნებოდა ერთ ერთ მათგანში სკოლის აშენება. იქნება ბეჯითს მოხელეს სხვა მოსაზრება მიუძღოდა წინ, როდესაც მაშლოვანს ამჯობინებდა შტატ გარეთ დარჩენილ სამ სოფელს. იქნება მაშლოვანის კარ-მიდამოებზედ უფრო მსუქანი დედლები დასეირნობდნენ და ქვეყრებში უფრო კარგი ღვინო იდგეს; იქნება ვაშლოვანებს, როგორც მდიდარ ხალხს, უფრო შეჭურვის სწავლა-განათლება, რადგან ზოგიერთი მეცნიერების სიტყვით (და იქნება ბეჯითი მოხელეც ამ ბედნიერების გუნდს ეკუთვნოდეს) სწავლა დარბილებისათვის არ არის გაჩენილი; იქნება, — მაგრამ მაშინ საბრალო სამი დანარჩენი სოფლისათვის თავი უნდა დაენებებინათ და მარტო მაშლოვანელებისთვის მოექვეყნებინათ ჯიბეები, თორემ სამართალი ცოტა იკოტლებს, თუ სახრაფი ერთისა იქნება და სახელი კი მეორესი.

ამ გვარ უაღაგო ბეჯითობის ნი-

რომელსაც საზოგადო მიზნები აქვს. ნება ალბად მიტომ არ მოუნიჭებიათ, რომ ჩემი საქმე არ უნდა იყოს საზოგადო სენზე, საზოგადო სატივარზე ვილაპარაკო და განსაკუთრებით მე ვისი ტიკი ტომარა ვარ, რომ საზოგადო მიზნებზედ ვილაპარაკო და მათი მოსასპობი რეცეპტები ვსწერო! ამისთვის არიან დაყენებული ექიმები და მათ იცინან, — რა საჭიროა ჩემი მეცამეტე გოჭობა?! ასეც მეორე მიზეზი იმისა, რომ ჩვენში საზოგადო აზრი ჭეღვანობს.. მს კია, მე და ჩემმა ლმერთმა, რომ კერძო კაცის ნაკლულეფანებას თუ მოუტყვე ხოლმე კვალში მეძებრებს, ისე უნდა მიიღოს მკითხველმა, რომ «ძალის ურტყამდენ, რძალს ასმენდენო», სხვა-ნაირად რომ ვსთქვათ, უნდა იგულისხმოს; დიად, უნდა იგულისხმოს...

მაშ ლმერთი და ბედი!.. ღვიწყებ «დასავლეთის კარებიდან», რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც მ. არდიშვილს გამოუჩნახავს. სწორედ რომ ახალი ამერიკა უნახავს! ხუმრობაში კი ნუ ჩამომართმევთ! ხომ იცით, თუ რა მოძრაობა მოახდინა ამერიკის ნახვამ!.. შევლას ოქროს შოვნის და გამდიდრების საღერღელი აუშალა და მიხეტქა უთვალავი ხალხი ამერიკის ნაპირებს! სწორედ აქაც ამ გვარი ამბავი ხდება. აქამდის იქ-

მუშს მკითხველი დღევანდელს ქრონიკაშიც ამოიკითხავს: მონეტში სოფელმა სკოლა გახსნა და მისი გამგეობა წერა-კითხვის საზოგადოებას მიანდო. სოფლის განაჩენის ძალით გაწერილი ფული ხარჯის ქაღალდში მოექცა და იკრეფება ისე, როგორც ფოსტის ფული, მიღის ხაზინაში და იქილამ ეძლევა წერა-კითხვის საზოგადოებას სკოლის შესანახად. მართი სიტყვით, საქმე ჩვეულებისამებრ მოჩარხულია, სკოლა გახსნილია და მასწავლებელიც თავის ადგილზეა. ახლა ბ. მოხელეს არ უნებებია, ეს სკოლა სასოფლო სკოლად არ უტყენია და სოფლებსათვის უბანებია, თქვენ სხვა სკოლა უნდა გახსნათ და სახლიც ააშენოთ, აი კალატოზებიო, ას სამოც თუმნად გარიგებული ვარო, ქვა და ქვიშა თქვენ უნდა უზიდოთო და სხვ. და სხვ.

საწყალს სოფლებებს, ვგონებთ, ამ ბძანებაზედ სულ თავებედი დაებნეოდათ! რა იცინა იმათ, რომ მოხელეს არავითარი უფლება არა აქვს უბძანოს სკოლა დაარსეთ, ან შენობა გაუკეთეთო და მეტადრე არა აქვს უფლება იქ, სადაც სკოლა ოჭაკი-ლურად არსებობს სოფლის ხარჯზედ, რომელიც ხარჯის ქაღალდშია შეტანილი. ბეჩავმა სოფლის ხალხმა ამისთანაებისა არა იცის-რა, მაგრამ გვიკვირს, რატომ ბ. მოხელეს ამ ბეჯითობასთან პატარა ნამდვილი საქმის ერთგულება არ დაჰყვა; რატომ არ იგრძნო, რომ რომელ პატარა სოფელშიაც კი ერთი სკოლა არსებობს, მეორეს დაფუძნება იქ სოფლისავე

ნება ორმა, ან სამმა იცუდა, რომ შეიძლება საქმე დასავლეთის კარებიდან გაარიგო და ყმაწვილი ატირებული არ დააბრუნო უარესად ატირებულ დედასთან... მინ ოხერი დაცემს «ფეშქაშს», თქვენი ჭირი წაუღია დაწვევლილსა და ეშმაკის მოგონილს ოქროს, ოღონდაც კი და მანახეთ ეს დასავლეთის კარებიო! — ამბობენ საკინძ-ჩამოწყვეტილი ჭირისუფლები!.. მართის სიტყვით, ყოველის კუთხიდან გაისმის მ. არდიშვილის სახელი, ყოველი კაცი ლოცვა-კურთხევას უძღვნის მას!.. მართალია, თეითონ მ. არდიშვილს კი ძოლუმბის უბედური ბედი მოსვლია, მაგრამ რა გაეწყობა — ქვეყნისათვის სასარგებლო კაცს ყოველთვის ასე მოსდას.

დასავლეთის კარების მქონეს მე როლი ვამტყუნებ, — ის ისე იქცევა, როგორც «ქვიანი» კაცის რიგია... ღიდი ხანი არ არის, რაც თეითონ მანვე აღიარა გაზეთს «ღრობაში» ამ მეცხრამეტე საუკუნის მეთერთმეტე მცნება, რომ «არა ერთითა ჯამაგირითა» სცხოვრებს კაცი, არამედ ძღვენითაცაო! ოღონდაც რომ «არა ერთითა ჯამაგირითა» სცხოვრებს კაცი!.. მერ გავამტყუნებ-მეთქი, ვიმეორებ. აბა რა ჰქნას იმ კაცმა? ისიც ხორციელია, ჭამა უნდა, სმა უნდა, ჩაცმა-დახურვა, გასვლა-გამოსვლა! ახლა მართალია, საღმეთო წერილი

ხარჯზედ შეუძლებელია. თუკი შემთხვევაში სკოლის გახსნის თაობაზედ ლაპარაკი წყლის ცხრილით ამოღებას ეგვანება; რატომ არ ესმიოდა, რომ უდროოა და უქამურ ქადაგებით დაარსებულ სკოლასაც ხელს შეუშლიდა და ახალსაც ვერ დაარსებდა. მშ, ბევრი რამ უნდა ეგრძნო და სმენოდა, მაგრამ გრძნობას გული უნდა, სმენას ყური და გონიერება თავი!

შინაური ძროხისა

მკითხველებს ესსომებათ, რომ თბილისის მხრებაში ს. თახუთს სოფლის განახენის ძალით წერა-კითხვის საზოგადოებამ სკოლა გახსნა და მასწავლებელიც დასინა. ამ დღეებში ამ სოფელში მისულა პრისტაკი ღ. და სოფლებსათვის უთქვამს, ეგ სკოლა კერძო სკოლაა, თქვენ სხვა სკოლა უნდა გახსნათ და შენობაც უნდა ააშენოთ. ამას გარდა პრისტაკს მიუყვანია ბერძენი კალატოზები, რომელთაც გარეგნისა ას-სამოც თუმნად თითო სკოლის აშენებას, იმ პირობით რომ სოფელმა უნდა ჰქვად ქვიშა უზიდავს. როგორც გვატყობანებენ, პრისტაკს ამ გვარი პირობა კალატოზებთან ოცამდე სოფლის მაგივრად შეუკრავს.

გაზ. «გავკახს» შეუტყვია, რომ თბილისში აზრებენ კერძო აუქციონის განტარების გახსნას, სადაც კომისიით მიიღებენ ყოველ გვარ ოჯახის აუქციონებს, და შემდეგ გაყიდვისას, პატრონის

კი გვიბრძანებს, ხელისათვის ნუ ზრუნავთო, მაგრამ არც უამისობა შეიძლება! რომ არ შეიძლება, მიტოვაც არის, რომ ზრუნავს ეს ვაჟბატონი: აქ ადგილი შეიძინოს, იქ სახლი იყიდოს, აქ დაიკრიოს მამული, იქ მამასისხლად გასცეს ფული... მს ხომ უფულოდ არ შეიძლება და აბა რა შევი ქვა გამოუღწება, რომ მარტო ჯამაგირს მიახერდეს?! რასაკვირველია, იმისთანა «შემოსავლიანი ბოტანი» რომ ჰქონდეს, როგორიც ეს შორაპნის ბლოლოჩინს ჰქონია თურმე, მაშინ კიდევ ჰო — დაიდრახებოდა, ახლა კი არა!.. მაგრამ «ქვიმარტების აღსადგენელად» ორი რამ გარემოება უნდა ვიქონიოთ სახეში. მართი ისა, რომ «დასავლეთკარეს» ხანდისხან სხვის ზიარადაც ჰფლობს ხოლმე მამულს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ წინა პირი თეითონ უნდა დაიტოვოს უსათუოდ და უკანა პირი მესაკუთრე-მოზიარეს მისცეს (თავი უყვარს და მიტომ); მეორეც ისა, რომ თამბაქოს არ ეწევა და ჯამაგირი სულ დაუხარჯავი რჩება. ამას თეითონ მოგახსენებთ, რომ თამბაქოში არ მეხარჯება სხვებსავეთ ფულიო და იმიტომ ბევრი მრჩებაო და ჩვენც უნდა დაუფუკროთ... ძიღვე არის მესამე გარემოება, რომელიც ოდესმე ძეგლს დაუღვამს ამ ბატონს. საგანი ამართლებს საშუალებასაო, რომ უთქვამთ,

აღებულს ფასს მისცემენ. ამ განტარების გამსხრულები ვისრულებენ აგრეთვე დარბეულობის რამდენიმე პარტის წინდაწინებუ მიტეხას, გაუიფადდე. თუ ამ გარე განტარების დამასრულებელი სინადასიანად მოქმედებენ, ამბობს „გაგა-ზი“ დიდს შედეგს მისცემენ ამ პარტი, რომელთაც ქალაქიდან გასვლა მოუხდებოდათ სოფელ და თავიანთ აუკუულობაში ფასის შესამედს ვერ იღებენ.

სკენა გუწერს: ოცდა-რვა ოქტომბერს, სადამოს ოთხ საათზე, საქართულოს გზარსისა სამეგრელოს უმისკობოსთან ერთად მოვიდა ხანში. ვერად სონის სობორში შეხვდა, ეგელისა დათვადიერა და იქიდან სემინარიისკენ წამოვიდა, სემინარიის გასასვლის შემდეგ ოსურგთისკენ წავიდა. სამაზას, პირველ ნიკიბერს, ისევ სონში უნდა ამოიაროს სამასწავლებლო სემინარიის ეგელისა საკურთხებულად. მასთან იქნება აგრეთვე იმერეთის უმისკობაში გაბრედიც.

ბ. მასიელ დარსკვლამე გუწერს შემდეგს ამბავს ვადეე შესახებ. ახლადიანის მოქმედების: როგორც თ. თუ მანაშვილისაგან იყო აღწერილი განსუე ნებული მთავრის ეკტირინე დადანიის მამულს ვეჭილობით მართავდა ბ. ახლადიანის.

1882 წელს ბ. ახლადიანმა მისცა იჯარით სათუხე მამული ჰალიოსტოში სამას წლით პირველ ანკარადამ 1883 წლისა. დაიწერა რიგანი პირობა და მიიღო მან 2000 მანეთი. მოაწია პირველმა ანკარამ. როდესაც დაურჯოვი გარბოთ, ნაკვებით, ხადეპობთ შეკდა ჰა-

ლიოსტომში იმ დროს იქ დასვდა სათუხელოდ მომხადეუა აჯჯანბი. შექნათ მათ ურთიერთ შორას დაუშენ აქ რა განდა, შენ უფრო რა განდა!

ადმონდა, რომ ერთი და იგივე მამული, ერთსა და იმავე დროს ბ. ახლადიანს მიუღია იჯარით დაურჯოვი-სათვისაც და მისი ნათლის მამის აჯჯანბისათვისაც; პირველისგან მიუღია 2000 დამეორესაგანაც 2000 მანეთი.

ამ დროს გამოხდენ ბ. ახლადიანისაგან გამოგზავნილა დაიარბეული ტუხუები ტუის მკვლელები და სხვა რაღა დაურჯოვი თავ პირში ტუით გამოაგდეს მისგან დაიჯარბეულ მამულიად.

დაურჯოვი მამართა ქუთაისის ოლქის სასამართლოს, სადაც დღეს სწარმოებს საქმე, მაგრამ მოპირდაპირნი არსადა სჩანან. რა მიხეზით არა სჩანან, ადვილი სახსნელად: იმდენს ათქვენ საქმეს, რომ სამი წელიწადი გავიდეს და შემდეგ ჰალიოსტომში დაურჯოვის სასული ექნება. რაიცა შეეხება წარდას, მომიხივანი ამას ვერ სდევს და უსამართლო საქმე ამ გვარად მოგებული იქნება.

აქ ისიც საყურადღებოა, რომ დაურჯოვი არის ახალციხიდან მოსული და რიბი კაცი, რომელსაც ის 2000 მანეთი სულ ექვსი შურის სასრულებით აქვს ვადა აღებული. სხვა ხარჯებს და პირობებს თავი რომ დაჯანბოთ, მარტო ფულის სასრულები დაღუპავს საბრლო დაურჯოვის.

რათქმა უნდა, რომ არც მთავრინა და არც თ. მინგრესკი არ იხებუდენ ერთი და იმავე ნივთის რაჯერ გასუად-

გას, ამასათვის შემდეგი ვიხსენებ: რომელი ფჯარის ფული ვარდაცა ბ. ახლადიანმა მეპატრონეს: პირველი რამათასი მანათი თუ, მეორე?

გავს. «გასია» ამბობს, რომ რადგან სწარსულში საქონლის ჭირის გამო იქიდან აჯრმაღული იყო საქონლის გამოტოვება და მატულის მოტანა, ამიტომ სამსდვარსედ 50000 ფუთამდე მატული მოგროვდა და მისი პატრონები მოუთმენლად ელან ნება რთვას, რომ ეს მატული სამსდვარსედ ვადმოიტანონ.

უცხოეთი

ბერლინიდან იწერებიან, რომ თუმცა ნემეცების დიპლომატებს ყოველთვის იმედი ჰქონდათ საფრანგეთსა და ჩინეთს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილებს მშვიდობიანად გათავებისა, მაგრამ ეხლა კი მარკიზ ძენგის უკანასკნელმა ტელეგრამამ დალიან ააღელვა და დაარწმუნა ბერლინის საზოგადოება იმაზე, რომ საფრანგეთის და ჩინეთის საქმე ძლიერ კრიტიკულს მდგომარეობაშია და რით დაბოლოვდება, ამის თქმა ჯერ არავის შეუძლიანო.

ზამოხენილს ირლანდიელ პეიტოტორს დევიტს ერთს კრებაზე წარმოუთქვამს ფრიად შესანიშნავი სიტყვა მამულის პატრონების და საზოგადოდ

მიწის მფლობელობის წინააღმდეგ. ამ სიტყვაში ის ამტკიცებდა, რომ წინააღმდეგობა და ევიროთა. ისეთი ძლიერი მთაბეტქილება იქონია თურმე ამ სიტყვამ მსმენელებზე, რომ მათს ალტაცებას და ტაშის კრას სამსდვარი აღარა ჰქონდა, და როდესაც დევიტმა ახსენა ზლადსტონის სახელი, მაშინ მსმენელებმა საშინელი «მ-მ-მ»-ის ძახილი ასტენეს.

მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ, რომ ამ წინააღმდეგობაში პოლიციის შენობა ააფეთქეს. ამ საქმის შესახებ ბერლინიდან იწერებიან გაზეთებში, რომ ისეთი ძლიერი მთაბეტქილება იქონია ამ კატასტროფამ საზოგადოდ ბერლინის მმართველობის წრეებზე, რომ ისინი ჯერაც არ დამშვიდებულანო. თეთ იმპერატორიც ძალიან თურმე აღელდა, როდესაც დაწერილებით მოახსენეს აფეთქების ყოველივე გარემოება. როგორც ბერლინის გაზეთები ამტკიცებენ მმართველობა ამ შემთხვევას სოციალისტებს აბრალენს და ჰფიქრობს, რომ ეს ერთი კაცის საქმე არ არის, — ამ შემთხვევას კავშირი აქვს სოციალისტს მოძრაობასთან, რომელმაც ამ უკანასკნელს დროს კიდევ გამოყო თავი და თანდათან ძლიერდება. შევლა ლონის-ძიებას ხმარობენ, რომ დამნაშავე იპოვნონ და დაიჭირონ. შინაურ საქმეთა მინისტრს მიუწერია ჩრანკტურტის პოლიციის უფროსისთვის, რომ მმართველობა 15,000 მარკა ფულის მისცემს, ვინც ამფეთ-

ისეა: მეო, მოგახსენებთ იგი, უნდა გავმდირდეთ, მილლიონერი უნდა შევიქნეთ იმიტომ, რომ უცხო ვაჭრებს კონკურენცია გავუწიო და საქართველო უნდა გავათავისუფლო ამ წურბელებისაგანაო... ამის შემდეგ, მე დაარწმუნებული ვარ, მკითხველიც მიუტყევებს «მოდასავლეთკარეს» «დასავლეთის კარების» გამოჭრას... და თუ ვინმე გავიუტდება კიდევ, იმისთვის მისგანვე კეშმარიტებად აღიარებული ჰეგელის ფილოსოფია მიმიხლია პირში: ВСЕ ЧТО ДѢЙСТВИТЕЛЬНО, ТО РАЗУМНО...

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეხლანდელს დროში ყველა აფათურებს ხელებს, ყველას სხვის ჯიბისკენ მიაქვს მკლავი და ისე უნდა მივაგოთ სასჯელი ამ ვაჭ-პატრონსაც... ახლა ნურას უკაცრავად მკითხველთან და შემდეგისათვის კი ბედნიერება მექნება გავაცნო მას ერთი მეტად საყურადღებო და ძვირფასი დიოური, რომელიც ეკუთვნის ერთის ძღვენების აღებაში და «გაკურებაში» გამომწვარის ჩინოვნიკის კალამს და რომელიც, რაღაცა ღვთის განგებით, ჩამივარდა ხელში. ოჰო, მაშინ ნახავს მკითხველი, თუ რა ამბები ხდება ამ კურთხეულს დედა-მიწაზე და სტქვას იქნება კიდევ, რომ ღმერთო უარესს ნუ გავაგონებო!... ასეთს ხერხელებში გავაძვირებ, რომ... მაგ-

რამ ახლა კი გარდავხედეთ ჩვენებურს პაწაწინა რიკოვებს, ანუ რიკოვების წიწილებს...

\*\*\*

ამ რიკოვების პატარა წიწილებშიაც დიდი განსხვავებაა: ზოგი ქულია წაწილია, ზოგი წამოჩიოვებულია კიდევ და ზოგი მუცელ-მომსილიც არის, ისე რომ «დიდ ქვამშია არ ეტიო», თუ ვაგიგონიანთ, ისეა... დამეთანხმებით, რომ «მოდასავლეთისკარეც» რიკოვის წიწილია, ის გამომწვარი და გამოქნილი ჩინოვნიკიც, რომლის დიოურიც ხელთა მაქვს, ის შორაანელი ბლადოჩინიც, რომელსაც შემოსავლიანი ბოსტანი აქვს, ამბობენ!... მა ერთი, — მეორეც, ხომ წაიკითხეთ «დროებაში» პატარა შენიშვნა ს. ალიდგან. სოფლის მალაზიაში ათი კოდი ჭირახუელიც აღარ მოიძებნება, როდესაც რეას კოდზედაც მეტი უნდა იყოსო. მაშ ასე, სოფელიც რიკოვობა რაღა!... ან რატომ არა?! იმისთანა დროში ვსტოვრებთ, რომ ვინც არ რიკოვობს, იმას არიკოვებენ; ვინც არ იგებს, ის აგებს, ვინც არა ჰგლეჯს, იმას ჰგლეჯენ სწორედ ისე, როგორც ომის ველზეა... ბუნების კანონიც ასე არისო, მოგახსენებენ!... დამეთმა მშვიდობა მისცეს ამისთანა კანონსაც... ჰო, სულ მავიწყდება, რომ რიკოვის წიწილებზედ მაქვს

ლაპარაკი... ერთს მათგანს, მუცელ-მომსილს წიწილს, მოგახსენებენ, ჩაუყვია თურმე ხელი მიბარებულს ყუთში და — დასწყევლოს ღმერთმა! — აკი არ ამოჰყოლია ხელს, თუ რამ ყოფილა ყუთში?! დაქინებით ამბობენ, რომ არა, რჯულია — ხატი თეთონ ამოჰყრენ ის წყელია «ასიგნაცებიო», თორემ როდი უნდოდა ამოღებო, — აქ, ამ ყუთში, დავლებით და გვიხსენ გასაჭირისგან, წავვიღე აქედგანო, შემეზღარეთო. ისიც გულ-კეთილი კაცია და ასიგნაციები დალობისგან იხსნაო!... მაგრამ ბოროტი ენები კი სულ სხვანაირად მოგახსენებენ. ამბობენ, «მე დალოცილო, კაკი ცოლ-შვილით დატვირთულია, ხარჯი-მარჯი ბევრი აქვს და განა ამას ერთი ფიორი ჯამაგირი აიტანდაო?!... ახლა სახლს სახლსედ რომ აშენებდაო, მამულს მამულზე რომ ჰყიდულობდაო, ამას რომ შერებოდაო, იმას რომ შერებოდაო, ერთის სიტყვით, რომ კოჭაობდა და კოჭაობდაო, აბა საიდგან იყოო?!... მე და ჩემმა ღმერთმა, რომ სულ მართალია!...

\*\*\*

მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ ყუთში ხელის ჩაყოფა ცოდვად მიაჩნიათ. მაინც-და-მაინც არც ასე ითქმის, იმიტომ რომ მართლა რომ ყვე-

ლას ცოდვად მიაჩნდეს, მაშინ ხომ აღარც ყუთებს დაადგებოდათ სიმწრის დღე... არა, ცოდვად მხოლოდ ზოგიერთს მიაჩნია, მაგრამ ესენიც სცდებიან, რამეთუ არა იციან, რას იტყვიან... რიკოვობაში მე ვხედავ ქველ-მოქმედების მხარეს. მართლაც, რა დაგაკლდება შენ, მკითხველო, რომ ყუთის დარაჯმა, ვსტქვათ, ცამეტი ათასი მანეთი ამოაცოცოს. შენი ფული იქნება იქ ბევრი-ბევრი ნახევარ კაპეიკი — თქმად ღირს — შენ რომ დაგიბრუნონ, აბა რაში გამოიყენებ?! ის, ყუთის თავი, კი ამ ნახევარ კაპეიკებს რომ თავს მოუყრის, შევაროვებს ცამეტი ათას მანეთს, რომლითაც შეუძლიან სახლების აშენება, მამულების შექმნა, ცოლ-შვილის მოვლა და სხვა ათასი ნახევარი კაპეიკით რომ ამდენი სიკეთე უყუო კაცს, მეტი რაღა გინდა; ნახევარი კაპეიკით რომ ააშენო ვინმე, განა უნდა დაამადლო?! ნახევარი კაპეიკით შენ ხლები დიდი ქველ-მომქმედი, კაცის ფეხზედ დამყენებელი, ღარიბის, გაღმობვილის გამამდირებელი!... შენ, კაცის უმადურებას რაღა ვუთხრა, თორემ რიკოვები და მისი წიწილები დიდი კეთილის-ყოფილნი არიან კაცობრიობისათვის.

გარუშე მაყურებელი. ქუთაისი.

ქებელს აღმოაჩენსო. ჰუკრობენ აგრეთვე ჰრანკურტში მცირე საომარი მდგომარეობა გამოაცხადონ. მრავალ ცნობათა შორის, რომელიც ამ საქმის შესახებ შეკრიბეს, შემდეგი ყურადღების ღირსი ცნობაც მოჰყავთ გაზეთებს: პოლიციის უფროსი იუდა თურმე თავის კაბინეტში და ყურადღებით ისმენდა თავის მდივნის მოხსენებას სოციალისტების მოქმედების შესახებ. კაბინეტში და მთლად პოლიციის შენობაში ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ ბუზის გაფრენაც კი არ გაეპარებოდა კაცს. იმ დროს, როდესაც მდივანი კითხულობდა იმ ადგილს, სადაც სწერია, რომ სოციალისტები თავიანთ განზრახვის შესასრულებლად აპირებენ იმისთანა საშუალების ხმარებას, როგორც არის დინამიტო, — უცებ რაღამაც იგრილა და ისეთი ხმა გაიღო, თითქო რამდენიმე ზარბაზანი ერთად დაცალესო; ფანჯრები ლუკმა-ლუკმად დაიღწა და კედლებიც ალაგ-ალაგ ჩამოინგრა. შეჭველია, ამისთანა ცხადი დამტკიცება მოხსენებისა ძლიერ აღელვებდა პოლიციის უფროსსა.

ბი, მაგნეზია, უნაგირები, კლეონა, წინდები—გაცის და ქაღის, ხელ-სახსრები, მაკინტოშინ კალენკორი — სუფუკლაფურა 25-დამ 50 ჰრანკურტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსავე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე სსქონელს გამოაწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდას. (100—63)

**გამსესხებელი კასსა**

**ზრიზოლ ბარამონისა და კოპკ.**  
ამით აცხადებს, რომ ამა კასის წინ მუთისში, 15 და 25 ნომერს, გაისკიდება ქალაქის აუციონისტების ხელით, ის გირაოები, რომელიც არ გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის მიცემის (ლგოტის) შემდეგ, ოქროსი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნივთები. (10—10)

**სასტუმრო (გოსტინიცა)**


**„იხალია“**

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორანცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.  
ნომრები მშენებრად მორთულია ელექტრიულის დასარკვის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.  
სასტუმროს ჰატრონი ბ. სარქისოვი. (30—25)

ჭალის პალატოები, კაცის ქულები და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლისის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეიაში იმყოფება. (10—9)

**თბილისის ქალაქის ბაზმეობა**  
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 1-ის ნომერიდან ქალაქის სასარგებლოდ გარდაწყვეტილი გარდასახადი მიიღება ბაზმეობის კასაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. (3—2)

**ინგლისური ჩაინის კრავოტები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღასით გატენილი 5-დან 8 მანეთამდე. ვიდრე შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად.

ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანული ქვეტაფის ნივთები, ჩაინის ნივთები, ჩაინის და სტოლის გოგონები ხანგლეითა, ფანდოსი, დასაღებელი, პირის-სახანი, სტაქები, სუფოგანი, საწურა-კები, რიშუკები, გრაფინკები, საქაშები, თეფშები, ბლუდები, სასალათოები, ტაშტები, სარძევეები, სამარალები, გარნიცის საფხეკები, უნაგირები გაცისა და ქაღისა, ალიკები, სლისტები, ტანის-მოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატლები, გაქსები, უთოები, წისკილები, ხერხები, ქლიბები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეკოლეგები, შიყები, სა-რიადები, გაშლილები, საფანჯრები, ნიბები, გატერპრუტები, სახნები, ჩუქლები, წინდები, სუფრები, სალტეტებისათვის რგოლები, ემაღიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, შიყულები, სოუსები, ზღვის ბაღასი, დამიკაიტანები და სს. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უფრადება მიეჭიეთ. (100—17)

**განსხადებანი**  
**ინგლისის მაღაზია**  
**Maison de confiance**

შუადრეთ ჩეხნი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 პ. 10 კ.	1 პ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რეკოლეგები, გრაფიტები, ჭურჭელი, ჩაინები, გასადებები, დახები, გოგონები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, განფუტები, მურაბე-

**მ ა ლ ა ზ ი ა**  
**სტაჟანა მანუილოვისა.**



პარიკიდან მიღებულია ქალის ხელთათმანები (ფერჩატკები) თეთრი, ზამშისა, ნამდილი ქუვენი განსაკუთრებით მომავალის დიდის ბალისათვის.  
მაღე მიეღებთ უნივერსალურ სამოვრებს, საყავებს, სამზარეულოს, რომელზედაც შეიძლება სადილის მომზადება უმზარეულოდ და ულაქოდ, ფოტოგენზედ უკავმოოდ და სუნაუდენლად ერთ გასეიკად. (2—1)

**ინგლისის მაღაზიაში**

**თიის-აგოშვანი**

ამაგრებს თმას და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., გავზავნიით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—62)



**შაპ-მასტარი**

აქვე იყიდება ქინის ზომდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტყალეტის სა-პონი, ღუსები და სხვ.

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 ნომერიდან 1 დეკემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი შური რუსთის ფქვილისა	—	1 კიბ.	5 კ.
აჭურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	—	1 კ.	3 კ.
მეორისა	—	1 კ.	2 1/2
მესამისა	—	1 კ.	2 1/2
იმეუ ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: პირველის ხარისხისა	—	1 კ.	5 კ.
მეორისა	—	1 კ.	3 კ.
მესამისა	—	1 კ.	2 1/2
ჯვარის-მამის შური: პირველის ხარის. დაჯაში	1	კ.	5 კ.
მეორის ხარის. დაჯაში	1	კ.	3 1/2
მესამისა	—	1 კ.	3 კ.
ძროხის სორცი: პირველის ხარისხისა	—	1 კ.	8 კ.
მეორის	—	1 კ.	7 კ.
სუბი	—	1 კ.	15 კ.
ცხვრის სორცი	—	1 კ.	7 კ.
ღორის ღორცი: პირველის ხარისხისა	—	1 კ.	10 კ.
მეორის	—	1 კ.	9 კ.

**რკინის გზა**

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.  
თბილისიდან საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.  
თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.  
ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.  
ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.  
ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.  
ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.  
ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.  
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.  
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

**ს ტ ა მ ბ ა**

მ მ თ ი მ მ ი მ. ხ ე ლ ა ძ ი ს ა.

თბილისში, ლორის-მელაქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ქურნალებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სწოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავზე და ადინიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ. სტამბა გისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთე ზაგაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.  
Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—25)